

საქართველო



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინდ ბუქდ-
უბი სიფყავა, ცუდილუბით და ჭებობით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯანსიბთაჲ უსაბაგლესია.

ბაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ხუთშაბათი-კვირა, 9-12 დეკემბერი. 2021 წ. №211 (9330) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი



შორეული მოკავშირის გა-
მოჩენით აღძრული აღტა-
ცება ბადებს მომხიბლავ
ოცნებას, რომ საქართვე-
ლოს ურიცხვი მხედრობა
იერუსალიმსაც დაიხსნის
მაჰმადიანთა ხელთაგან...

ელოდნენ

9 უკუღას

საქართველოდან...

10 დეკემბერი საქართველოს მეგზვეთა დღეა

ბერკეტი ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და კლიერებისა...

საქართველოს მეგზვეთა საზოგადოება ღრმა პატივის-
ცემით ულოცავს პროფესიულ დღესასწაულს „მეგზვეთა
დღეს“ საქართველოს მეგზვეთა დიდ კოლექტივს, ყველა მეგ-
ზვეს და იმ სპეციალისტს, ვინც თავისი საქმიანობით მჭიდ-
როდ არის დაკავშირებული საავტომობილო გზების კვლევის,
პროექტირების, მშენებლობის, ექსპლუატაციის და მოვლა-
შენახვის სამუშაოებთან, რომლებიც დღემდამდე მუხლჩაუ-
რელად ემსახურებიან საქართველოში საგზაო ინფრასტრუქ-
ტურის შემდგომი განვითარებისა და საერთაშორისო
მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის ამოცანას.

ეს საერთო სახალხო ზეიშია, რომელიც ჩვენს ქვეყანა-
ში 1965 წლიდან ყოველ წელს აღინიშნება. ეს დღე ძალიან
მნიშვნელოვანია საგზაო დარგში მომუშავე პროფესიონა-
ლებისთვის, რადგან მეგზვეები ის ადამიანები არიან, რომ-
ლებიც დღე და ღამე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში
თავდაუზოგავად შრომობენ და სწორედ ამ გმირული შრო-
მის შედეგია ის თანამედროვე და მაღალი სტანდარტების
საგზაო ინფრასტრუქტურა, რომელსაც ჩვენ ყველანი ერ-
თობლივად ვაშენებთ.

საქართველოს მეგზვეთა საზოგადოების მიზანია საავ-
ტომობილო გზების დარგში გზების, ხიდების, გვირაბების
და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობისა და მოვ-
ლა-შენახვის ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარები-
სათვის ხელშეწყობა, საჭიროების შემთხვევაში რეკომენ-
დაციების შემუშავება, ახალი სტრატეგიული მიმართულე-
ბების და დარგისათვის საჭირო ნორმატიული დოკუმენ-
ტაციის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება,
ეკონომიკური, ეკოლოგიური და ეროვნული ინტერესების
გათვალისწინებით და დარგში თანამედ-
როვე ტექნოლოგიების პოპულარიზაცია.

კიდევ ერთხელ უნდა მოგილოცოთ
დღევანდელი დღე და გისურვოთ წარმა-
ტებები პირად და პროფესიულ ცხოვრე-
ბაში!

დიდი პატივისცემით,
საქართველოს მეგზვეთა საზოგადოების
თავმჯდომარე, აკადემიკოსი
თამაზ შილაკაძე



მოგავლის ისტორია


ბაგოდის უკუღას

XXII საუკუნიდან

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ 24 ნო-
ემბერს თბილისში გაიმართა პრემენტაცია XXI
საუკუნის ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა და მისი
პირველი გამოცემისა, რომელიც იმავე დღეს
იქვე მონათლა გურამ ახალაიასეულ ხელნა-
წერად.

ხელნაწერის ბოლოს გურამ ახალაია მო-
მავალ თაობებს მიმართავს პატარა მინაწერით
„გზავნილი XXI საუკუნის საქართველოს“:

„ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის გადამწერთა
დიდი სურვილია, გაგრძელდეს ეს მრავალსა-
უკუნოვანი გრადიცია, როგორც ეროვნული სა-
უნჯის მიმართ ჩვენი განსაკუთრებული დამო-
კიდებულების, მარადიული სიყვარულის გა-
მოვლინება, როგორც ეპოქათა გადაძახილი-
სა და დროთა უწყვეტობის დასტური. გექნო-
ლოგიური მიდევნების მიუხედავად, გა-
ვავგრძელოთ საუკუნეში ერთხელ შოთა რუს-



თაველის უკვდავი პოემის ხელით გადაწერის გრა-
დიცია, ანდერძად დაგუბართთ მომავალი ასწ-
ლეულის ქართველებს, ძველი კალიგრაფისტების
მსგავსად, შექმნან XXI საუკუნის ხელნაწერი
ვეფხისტყაოსანი“.

და აი, ჩვენმა გაზეთმა ცნობილი ჟურნალისტის
პაატა ნაცვლიშვილის ხელით მიიღო XXI საუ-
კუნეში შექმნილი გექსტი, რომელიც გურამ ახა-
ლაიას ამ გზავნილის საპასუხო გამომხატურებად
შეიძლება ჩაითვალოს და რომელიც გაზეთის დღე-
ვანდელ ნომერში იბეჭდება.

იხ. 6-7 გვ.

ვეფხისტყაოსნის ახალაიასეული ხელნაწერის 100 წლისთავისათვის

რომის პაპი

8 არ აირჩიო იდეოლოგიური კოლონიზაციის გეზი!



სათუნა სოფელი: მიზანს პოლიტიკურ კუბოზე ბოლო ლურსმანს აუსილაბლად ჩაასოზს ზურაბ შვანია!.. 4

ზურაბ შვანიას საქმე თა-
ვიდან ბოლომდე, თავისი მა-
სალებით, ამერიკის შეერ-
თებულ შტატებშია წაღე-
ბული. დასკვნე-
ბიც და ყველაფე-
რიც იქ დევს, უბ-
რალოდ, მე ვფიქ-

რობ, კარგი იქნება, ჩვენი
პროკურატურა ამ საქმის
დროულად გამოწვევას თუ
მოახდენს ამერიკიდან. სა-
ბოლო ფაზაში, სააკაშ-
ვილი მაინც დამთავრდე-
ბა ზურას მკვლელობის
საქმით.



იღუპალი მკვლელობა იხსნება?!



ხათუნა ხოჭარია: მიშას პოლიტიკურ კუბოზე ბოლო ლურსმანს აუსილებლად ჩაასობს ზურაბ ჟვანია!..



— ძალბატონო ხათუნა, სააკაშვილი დღემდე ცივი გონებით ეკიდება ნებისმიერ საკითხს. მას არ მოსწონს სასამართლო პროცესზე გისოსების ლურჯი ფერი, ანუ „ოცნების“ ფერი, მაგრამ მოსწონს მის დროს გამოცხადებული „ნულლოვანი ტოლერანტობა“, რადგან თვლის, რომ „თანამედროვე საქართველოს დაფუძნებით“ იყო დაკავებული. რა შთაბეჭდილება გრჩებათ სააკაშვილის სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით? ყოველთვის ასეთი არაადეკვატური იყო ის მიშა, რომელსაც აქამდე იცნობდით?

— მოსამართლეები და ექიმები მიხედავენ სააკაშვილს, მას ორივე პროფესიის ხალხი ძალიან სჭირდება, ძირითადად ფსიქიატრები. ჩვენს მოსახლეობას კი ვურჩევ, დამშვიდდნენ, მოემზადონ ახალი წლისთვის.

— თუკი სააკაშვილი მართლაც სოციოპათია, როგორც ამას ცალკეული მედიკოსები ამტკიცებენ და ეს ფაქტი დადასტურდება, ეს ნიშნავს, რომ იგი გამოუშვან ციხიდან ან შემამსუბუქებელი სასჯელი მიუსადაგონ? მოგეხსენებათ, სოციოპათები ადამიანის სიცოცხლის ცნებას უგულვებელყოფენ მაშინ, როცა ნებისმიერი წვრილმანი მათ აღიზიანებთ.

— ასეთი რამ ვერანაირად ვერ მოხდება, მსოფლიო პრაქტიკას არ ახსოვს, სიგისის გამო ვინმე შეენყალებინოთ. ამ შემთხვევაში, შეიძლება დაუშვან მხოლოდ და მხოლოდ საქმის გადახედვა და ამის მიხედვით განსაზღვრონ, ფსიქიატრიულში უნდა მოიხადოს სასჯელი, სპეციალიზებულ დაწესებულებაში, თუ გააგრძელოს ჯდომა, სადაც ზის. რახან ადამიანი ფსიქიკურადაა დაავადებული და მას ეპატიოს დანაშაული, ასეთი რამ არ ახსოვს სამართალს. სხვათა შორის,

სანდრასთან დაკავშირებით რაც თქვა, ეს არის დამატებითი დანაშაულის აღიარება სააკაშვილის მხრიდან. მან აღიარა, რომ ექსპრეზიდენტის კუთვნილი ბიუჯეტი, რომელიც ჩვეულებრივ სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილია, მისმა მეუღლემ გახარჯა. რა წვდომა შეიძლება ჰქონოდა სანდრას სახელმწიფო ბიუჯეტთან? და, თუ სანდრას მხრიდან მოხდა თანხების გახარჯვა, ეს იმას ნიშნავს, რომ ისევე და ისევე კანონი დაარღვია სააკაშვილმა. ის არის დამნაშავე სანდრას ნაცვლად. ეს არის კიდევ ერთი დანაშაულის აღიარება მისი მხრიდან. უბრალოდ, მე ვფიქრობ, რომ მიშა რეალურად ვერ აღიქვამს მოვლენებს, მის ცნობიერებაში დეფინიცია არ არსებობს. ამით სააკაშვილმა თქვა ის, რომ თურმე ვერ ხვდება, რომ სახელმწიფოს ფული მისი ფული არ არის, სახელმწიფოს ქონება არ არის მისი ოჯახის ქონება. სწორედ დეფინიციების არარსებობა იწვევს აზრს მოკლებულ და სამასხარაოდ ქცეულ პროცესს, რომელიც დღეს საქართველოში მიმდინარეობს.

თქვენ მკითხეთ, სულ ასეთი იყო სააკაშვილი და ასე არაადეკვატურად ხედავდა მოვლენებს? იცით, რა, მიშა სულ ასე ნამდვილად არ იყო. ის ყოველთვის იყო პოპულისტი, ყოველთვის იყო

ქარიზმატული, ამ თავის ქარიზმს იყენებდა პოპულიზმისთვის, ყოველთვის იყო აქტიური, იცოდა-არიცოდა, ყოველთვის აკეთებდა განცხადებებს. ყოველ შემთხვევაში ის, რომ ვერ გაერჩია, რისი უფლება შეიძლება ჰქონდეს პრეზიდენტს, რისი უფლება არ შეიძლება ჰქონდეს მის ცოლს, ასეთი რამ მე მიშასგან არ მახსენდება, როცა ერთად ვიყავით პარლამენტში.

— სააკაშვილმა მეორე სასამართლო პროცესზე გარდაცვლილი ადამიანები ახსენა — კახა ბენდუქიძე, რომელიც, მისი ინტერპრეტაციით, თურმე „ქოცებმა“ მოკლეს, გული გაუხეთქეს მუქარით, ასევე, გაიხსენა, რომ გიორგი სანაია უკანასკნელად მიაცილა სახლში. ხომ არ მოელოდით, რომ შესაძლოა, ზურაბ ჟვანიას შესახებაც ამეტყველდეს და ბევრ სიბნელეს მოჰფინოს ნათელი თავისი თვითაღიარებებით?

— დიდი იმედი მაქვს, რომ, საბოლოო ჯამში, პროკურატურა თაროზე შემოდებულ ზურაბ ჟვანიას საქმესაც წამოწევს. გამოირიცხულია, არ მოხდეს იმ საკითხის ბოლომდე მიყვანა, რაც ზურას გარდაცვალებას თან ახლდა. სულ რომ გაგანებოთ თავი მიშას, იქ იყო სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლების სერიოზული დანაშაული გამოკვეთილი, იქ იყო ამ ადამიანებზე ხელის

დაფარების მცდელობა, მოგეხსენებათ, იქ იყო დაუსაბუთებელი ბრალდებები ზურას მიმართ. საქმე ისაა, რომ ზურაბ ჟვანიას საქმე თავიდან ბოლომდე, თავისი მასალებით, ამერიკის შეერთებულ შტატებშია წაღებული. დასკვნებიც და ყველაფერიც იქ დევს, უბრალოდ, მე ვფიქრობ, კარგი იქნება, ჩვენი პროკურატურა ამ საქმის დროულად გამონვევას თუ მოახდენს ამერიკიდან. საბოლოო ჯამში, სააკაშვილი მაინც დამთავრდება ზურას მკვლელობის საქმით.

— თავის დროზე, როცა „ქართულმა ოცნებამ“ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის ძიება დაიწყო, სააკაშვილმა უკრაინიდან შემოუთვალა ამ საქმის ფიგურანტებს, თავის მეგობრებს, გაძლევთ უფლებას, თქვათ სიმართლე, რასაც ყოფილი პრემიერის შესახებ საქმის ეთიკურობიდან და დელიკატურობიდან გამომდინარე, ვმალავდით. მას შეუძლია, დღესაც ასეთივე შეურაცხყოფილი სიტყვები გაიმეოროს და ზურაბ ჟვანიას საქმის დელიკატურობა ახსენოს. შესაბამისად, როგორც 7 ნოემბრის საქმიდან სცადა დასტოვოდა და მერაბიშვილს გადააბრალა, როგორც 26 მაისთან მიმართებით აღნიშნა, რომ თურმე დემონსტრანტებისთვის გზის გახსნა და განრიდება მოითხოვა (მაშინ, როცა გზა ჩახერგილი იყო), ზურაბ ჟვანიას საქმესაც დაუსტებდა.

— ნაკლებად მგონია, რომ მიშა რომელიმე საქმიდან გამოძვრეს. მერაბიშვილს გადააბრალებს, სანდრას გადააბრალებს, ეს კიდევ უფრო მეტად ამძიმებს მის მდგომარეობას, როგორც ყოფილი პრეზიდენტის, საქართველოს მოქალაქის. კი არ ვამბობ, პასპორტით საქართველოს მოქალაქის-თქო, ის არ არის საქართველოს მოქალაქე, მაგრამ ხომ გაიზარდა საქართველოში, როგორც კაცი, როგორც ადამიანი?! პიროვნების სრული დისკრედიტაცია ხდება ყოველი მისი განცხადების შემდეგ. ზურას იმაზე მეტი რაღა უნდა დააბრალოს, რაც უკვე დააბრალა?! მეტს ველარაფერს ვერ დააბრალებს. საბოლოო ჯამში, მიშას პოლიტიკურ კუბოზე ბოლო ლურსმანს აუსილებლად ჩაასობს ზურაბ ჟვანია.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე



ზურაბ ჟვანიას საქმე თავიდან ბოლომდე, თავისი მასალებით, ამერიკის შეერთებულ შტატებშია წაღებული. დასკვნებიც და ყველაფერიც იქ დევს, უბრალოდ, მე ვფიქრობ,

კარგი იქნება, ჩვენი პროკურატურა ამ საქმის დროულად გამოწვევას თუ მოახდენს ამერიკიდან. საბოლოო ჯამში, სააკაშვილი მაინც დამთავრდება ზურას მკვლელობის საქმით.

(მეორე გვერდიდან) კვირაში - სხრა პარასკევი...!

სააკაშვილმა პროტესტი შეწყვიტა და მკურნალობა გააგრძელა

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი დიმიტრი საძაგ-ლიშვილი აცხადებს, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა პროტესტი შეწყვიტა, რადგან მისთვის დაწესებული შეზღუდვები გაუქმდა და პროტესტის ფორმა ამონურულია. როგორც დიმიტრი საძაგლიშვილმა აღნიშნა, გუშინდელი ინციდენტი იყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებაზე პენიტენციური სამსახურის რეაქცია. „ბუნებრივია, რომ იუსტიციის სამინისტრო გაბრაზდა და სწორად გაბრაზდა, რადგან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა რვა დარღვევა დაადგინა მიხეილ სააკაშვილთან მიმართებაში, ამ გადაწყვეტილებაში მხოლოდ პირადი ინფორმაციის გავრცელებაზე კი არ არის საუბარი, საუბარია იმაზე, რომ ხშირად არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებაზეც კი ხდებოდა.

ამის შემდეგ გლდანის სამკურნალო დაწესებულებიდან ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ მიხეილ სააკაშვილის მიმართ არაადამიანურ და წამებასთან გათანაბრებულ მოპყრობაში, გამოცხადდნენ გორის სამხედრო ჰოსპიტალში, მას შემდეგ, რაც დაიფუძვს მიხეილ სააკაშვილი მკურნალი ექიმი გასული შენობიდან, შევიდნენ მასთან ოთახში. აქვე ხაზგასმით გვსურს დავაფიქსიროთ, რომ ჩვენ მადლობას ვუხდით მკურნალ ექიმს, ნინო გოგორიშვილს და სამედიცინო პერსონალს სრულად, მათთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზიები არ გვაქვს და პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლებიც ზუსტად მაშინ შევიდნენ, როცა ეს ადამიანები არ იმყოფებოდნენ იქ და განუცხადეს, რომ დისციპლინური წარმოების შედეგად გამოტანილი იყო გადაწყვეტილება — მას არ ექნებოდა შესაძლებლობა, მიეღო ვიზიტორები და შეზღუდვებოდა ტელეფონით სარგებ-

ლობის უფლება, ასევე ვერ ისარგებლებდა ტელევიზორით. ამაზე მიხეილ სააკაშვილს ჰქონდა ძალიან მძაფრი რეაქცია და ამ ადამიანებს უბრალოდ დატოვებინა პალატა, ამის გამო, არც დოკუმენტის დატოვება არ მომხდარა“, — განაცხადა საძაგლიშვილმა. მისივე თქმით, პალატის დატოვების შემდეგ, დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში ტელევიზორი გაუთიშეს საქართველოს მესამე პრეზიდენტს, ტელევიზორი ფიზიკურად არ გაუტანიათ, მაგრამ გათიშეს სიგნალი და შესაბამისად, ის ამ სიგნალს ვერ იღებდა. „მიხეილ სააკაშვილს ჰქონდა მძაფრი, სამართლიანი პროტესტი და ამის შემდეგ მას ალუდგა სიგნალი. გუშინ მოხდა ეს და დღესაც აღდგენილი აქვს შესაძლებლობა, რომ უყუროს ტელევიზორს. რეალურად ვნახეთ, რომ პენიტენციურმა სამსახურმა უკან დაიხია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა დააფიქსირა მძაფრი პროტესტი. პროტესტის ის ფორმა, რომელიც გუშინ იყო გაჟღერებული, სწორედ იმის გამო, რომ მისთვის შეზღუდვები ამოქმედდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს შეზღუდვები, ფაქტობრივად გაუქმდა და უკან დაიხია პენიტენციურმა სამსახურმა, ბუნებრივია, რომ პროტესტის ეს ფორმა არის ამონურული“, — განაცხადა ადვოკატმა.

ფუჭი ილუზიები...

ის რომ ჩვენთან წინასწარ ჩვენოდ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების და თავად არჩევნების შედეგები ერთმანეთისგან განსხვავდება და ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვნად, პოლიტიკური სპეკულაციებისთვის მომგებიანი თემაა. თუმცა, იშვიათია ამ მოვლენის ანალიზი, თუ რატომ ხდება ასე.

ზოგი ამას ე.წ. „შიშის სინდრომით“ ხსნიდა, როდესაც რეპრესიული რეჟიმის შიშით და თავის გადაზღვევის მიზნით, ხალხი არ ამხელდა საკუთარ რეალურ დამოკიდებულებებს. ზოგი თვლიდა, რომ ამაში თავად გამოკითხვის ჩამტარებელი ორგანიზაციები სცოდავენენ, რომლებიც სათანადოდ „ვერ ხსნიდნენ“ რესპონდენტის მისგან გულწრფელი პასუხების მისაღებად. რესპონდენტის გულწრფელობაზე გამოწვევა კი არაა იოლი, სულაც რომ არ ემინოდეს რეპრესიების, მასზე სხვა შემაკავებელი ფაქტორებიც მოქმედებს.

რადღაც გასაკვირიც არ უნდა ჩანდეს ერთი შეხედვით, ასეთი გახლავთ ე.წ. „ბრედლის ეფექტი“ რომელსაც ზოგჯერ ვაილდერის ეფექტად მოიხსენიებენ. მკვლევარების აზრით, ის უფრო იმ ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრებისთვის არის დამახასიათებელი, სადაც რთული რასობრივი და ეთნიკური ურთიერთობები, როდესაც ამომრჩევლის რასობრივი ნიშნით უწყვეტ არჩევანის გაკეთება და ეს წინააღმდეგობაში მოდის მის რასობრივ შეხედულებებთან. თუმცა, „ბრედლის ეფექტი“ გამოვლინებული რასობრივი სენტიმენტების გარდა, ამომრჩევლის ქცევის სხვა ასპექტებშიც გვხვდება და ამას ჩვენს ქვეყანაშიც კარგად ვხედავთ.

ისტორიას რომ გადავხედოთ, „ბრედლის ეფექტი“ ტიპური სცენარი გათამაშდა აშშ-ს კალიფორნიის შტატის გუბერნატორის არჩევნებზე 1982 წელს. წინასწარ ჩვენოდ გამოკითხვებში და ევზიტპოლებშიც პოპულარული შავკანიანი კანდიდატი ტომ ბრედლი ლიდერობდა, მაგრამ ხმების დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გაიმარჯვა მისმა თეთრკანიანმა კონკურენტმა ჯორჯ დოქემჯიანმა. გამოირკვა, რომ ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ, იმისათვის, რომ რასიზმში არ დაედანაშაულებინათ, გამოკითხვებისას უბრალოდ იცრუა, როდესაც შავკანიან კანდიდატს მიანიჭა უპირატესობა, ხოლო არჩევნების დღეს, საარჩევნო კაბინაში თეთრკანიან კანდიდატს მისცა ხმა.

რა ხდება ჩვენი „ბრედლის ეფექტი“ ვლინდება ჩვენი ამომრჩევლის დიდი ნაწილის ორმაგ სტანდარტებში, როდესაც მას ურჩევნია ბაიმიკიტხვის დროს მხარი დაუჭიროს „პოლიტიკურად სწორ“ ვარიანტს, თუნდაც შინაგანად ეწინააღმდეგებოდეს მას.

არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ჩვენს სოციოლოგიურ გამოკითხვებში როდესაც ეკითხებიან ევროკავშირთან ინტეგრაციის მხარდაჭერაზე, ბევრ რესპოდენტს არ უნდა, რომ ის „ჩამორჩენილი“ და „ანტიევ-



როგორც „მიიჩნიონ, არ სურს „მოდას“ ჩამორჩეს, და ამიტომაც ვითვალთ – უჭერთ თუ არა მხარს ევროინტეგრაციას და ნატოში გაწევრიანებას? პასუხობს „კი.“ თუმცა გონებაში სხვანაირად ფიქრობს, და სახლობლო წრეში შეიძლება ბოლო სიტყვებით ლანძღავს დასავლეთიდან იმპორტირებულ „გარყვნილებას“ და „ლიბერალურ იდეებს.“

ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ღირებულებითი სისტემა და ცნობიერება რომ ძალზე შორს დგას ევროპულისგან, 5-6 ივლისის მოვლენებმაც დაადასტურეს, როდესაც ვითომ „პრო-ევროპელი“ ლი-

ბერალები აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდნენ, ხოლო ორთოდოქსი კონსერვატორები კი უმრავლესობაში. თბილისის ცენტრში ლგბტ-მარშის (რაც ევროპაში უკვე ჩვეულებრივი ამბავია) არდაშვებას, შესაძლოა ძალიან ბევრი მისვალა, მაგრამ სოციოლოგიური გამოკითხვებში, სავარაუდოდ, ამას არ გამოხატავენ. ამას გააკვეთებენ იმიტომ, რომ ქვეყნის გამოცხადებულ და დამკვიდრებულ პრო-ევროპულ და დასავლურ დისკურსს არ დაუპირისპირდნენ, პრო-რუსებად და ჩამორჩენილებად არ გამოჩნდნენ და საკუთარ თავს კიდევ დამატებითი პრობლემები არ შეუქმნან.

წინასწარ ჩვენოდ გამოკითხვის დროს ან პარტიულ შეხვედრებზე ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მოკრძალებულად ცდილობს გამოხატოს ის პოზიცია, რაც იმ მომენტშია საჭირო, მაგრამ არჩევნების დღეს მოიქცეს ისე, როგორც თავად თვლის საჭიროდ. ამომრჩევლის ასეთ გაორებაზე, ფაქტიურად კი „ბრედლის ეფექტზე“, როგორც ჩანს, ინფორმირებული არიან პარტიებიც და ამიტომაც იყო, რომ არცთუ შორეულ წარსულში მმართველი პარტია ამომრჩევლისგან საკუთარი არჩევანის დოკუმენტურად დადასტურებას ითხოვდა საარჩევნო ბიულეტენზე მის მიერ შემოხაზული ნომრის ფოტოს სახით.

„ბრედლის ეფექტი“ დროს ვლინდება ე.წ. „სოციალური სასურველობის ეფექტი“ (social desirability bias). როდესაც ამომრჩეველს ურჩევნია მისცეს ისეთი პასუხები, რომლებიც მათივე აზრით, უფრო მომგებიანია გარემომცოცხლავთ თვალში. ეს გამოიხატება იმაში, რომ ხდება ქვეყანაში გაბატონებული განწყობების და ოციციალური პოლიტიკის ყასიდი მხარდაჭერა. ამ ტენდენციას ზოგი „მორიდებული ამომრჩევლის“ ფენომენს უწოდებს. ასეთ ადამიანებს ემინათ და არ სურთ თუნდაც ანონიმური გამოკითხვის დროსაც კი, საკუთარი ჭეშმარიტი განწყობა დაადასტურონ. ეს ფენომენი, რა თქმა უნდა, განსხვავებულია ვლინდება სხვადასხვა ქვეყანასა და ეროვნულ-კულტურულ კონტექსტში. თუმცა, ის სერიოზულ პრობლემებს უქმნის სოციოლოგიურ გამოკითხვებს სანდოობის კუთხით. „ბრედლის ეფექტი“ პარტიებს ცრუ მოლოდინებს უქმნის მათი მხარდაჭერის რეალურ მასშტაბზე, რაც უკვე არჩევნებზე მოლოდინის საპირისპიროდ მიღებულ შედეგებში გამოიხატება.

ამიტომაც, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს და ლიდერებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ „ბრედლის ფენომენი“ მის ქართულ გამოვლინებაში და ფუჭი ილუზიები არ შეიქმნან.



ზაალ ანჯაფარიძე

რაში ვეთანხმები და რაში არა ჩვენს პრეზიდენტს?

(მეორე ნაწილიდან)

რამდენიმე ქვეყანა კვლავ აპირებს მთელი რიგი ჩაკეტვების შემოღებას. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა პრეზიდენტს კატეგორიულად მოეთხოვა მოქალაქეებისგან პირბადის ტარებაც, რაც სისტემატურად ირღვევა (ეს ტელევიზიიდანაც ჩანს) და მისი მოხმარება 60%-ს ჩამოსცილდა! დამრღვევებისადმი ჯარიმებზე უნდა გამსხვილებულიყო ყურადღება, როგორც ადრე იყო და დარღვევა-დაჯარიმების შემთხვევებს ყოველდღე გადასცემდნენ ტელევიზიები!

კრიზისის და პოლარიზაციის დასაძლევად პრეზიდენტმა სამი პრიორიტეტი დასახა. ამ სამიდან პირველი ორს ვეთანხმები, მესამეს – არა! პირველი ორია: 1) ჯანმრთელობის კატასტროფის თავიდან აცილება და 2) სოციალური და ეკონომიური გამოწვევების დაძლევა. მესამეზე უფრო ვრცლად ილაპარაკა: – „მესამე, უმნიშვნელოვანესი, ევროპული ინიციატივის ქმედითი გზაა, რომელიც ჩვენთვის უალტერნატივოა... მოსახლეობის 80% ამ გზას მხარს უჭერს“.

ვეკითხები პრეზიდენტს: „არასდროს ჩაგიტარებიათ რეფერენდუმი და საიდან ასკვნით, რომ მოსახლეობის 80% უჭერს მხარს ევროინტეგრაციას? ”

25 წელზე მეტია ქართველმა პოლიტიკოსებმა (და „ვაიპოლიტიკოსებმა“) „ჩაიხვიეს“ და დაზუსტებულით იმეორებენ: ევროპისკენ მივიწინააღმდეგეთ და ამ დროს რუსეთი არჩენს ქვეყანას. მოსახლეობისთვის საჭირო, მთავარი საარსებო პროდუქტის – ხორბლის 95%-ი რუსეთიდან შემოგვაქვს, იქიდან მოგვცნობდება გაზი (აზერბაიჯანთან ერთად) და ელენერჯიაც, თურქეთთან ერთად რუსეთია ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორი, ემიგრანტი ქართველებიდან ყველაზე მეტი ფული რუსეთიდან შემოიღეს, ჩვენი



ღვინის, მინწყლების და ხილის 80% რუსეთში გადის და ა.შ. არ უნდა ეთქვა პრეზიდენტს, რომ დროა დავიწყოთ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა ანაგვანს, ეს ყველაფერი უცებ რომ შეგვიწყვიტოს, ჩვენი ეკონომიკა ხომ ჩამოიშლება,

ავლანეთზე უარეს დღეში აღმოვჩნდებით! მესამე პრიორიტეტად პრეზიდენტს უნდა დაესახელებინა მოზარდი თაობის განათლების, სწავლა-აღზრდის და ხალხის მასებში სულიერების ამაღლების გზა, რომელიც კატასტროფის პირასაა მისული და აუცილებლად მოსავგარებელია (ლგბტ

P.S. როგორც ჩანს, საზრანაპითი ბაზრადილი და ბანსავლული ჩვენი პრეზიდენტი არ იცნობს ქართულ სასულიერო მოთხოვნას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, სადაც დიდი მოქალაქეობის მქონე პაპის მიხედვით უფრო მეტი მოვეითება გადაცდომებისთვისო! როგორც ჩანს, არც მიხეილ სააკაშვილს ნაუკითხავს (უსწავლია) სკოლის პროგრამით გათვალისწინებული სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები, სადაც ლეონი სასტიკი მეთოდებით ზრდის სამეფოდ გამზადებულ ჯუმბერს და აღმზრდელი ასე იმართლებს თავს: თუ მომხიზანთა ტყვეილია თქვითონ არ გამოსცადა, მათ გაჭირვებას როგორ გაიზავლეს? ამიტომაც კომფორტულ პირობებში ბაზ-

რდილი მიხეილ სააკაშვილის გულამად ვერასდროს მივაბისი რეჟიმის მიერ 100-ზე მეტი მოქალაქე უსაფრთხოების მხოლოდ და ათასობით ადამიანის წამებისდროინდელი ტყვეილია! ამიტომ არის, რომ მას არც სინაწული ბრძოლა გააჩნია და, საზრანაპოო, არც არაპაპის ინანებას! ის კი არა, ბანსავლული კომფორტის მოითხოვს და დასატირებას უპანოვოდ მიიჩნევს. რთ-გორც სასამართლოში თავის „ისტორიულ“ სიტყვებით: მართლაც, მის ბავშვურ შიშვითულობას და ანალიზების გამოცხადებას გადააყვლებს მეთხანა!

უ. ჯ

დავით IV-ის ფრესკა, XIX ს. შიომღვიმის მონასტერი.



დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ომში მოხვეჭილი ბრწყინვალე გამარჯვება მთელი ქრისტიანული სამყაროს ტრიუმფად იქცა, ხოლო ქართველი მეფის სახელი მტკიცედ ჩაიბეჭდა დასავლურ მესიერებაში.

ევროპელი მკითხველი ჯვაროსანთა ანტიოქიის სამთავროს კანცლერ გოტიეს ქრონიკაში ეცნობოდა სასვებით რეალისტურ ინფორმაციას დავით აღმაშენებლის შესახებ, მაგრამ ფაქტობრივად თავისი კორექტივი შეეძლო ქონდა და გამოეხატა ცემობოდ ადგილი. დიდგორის ომიდან ზუსტად ასი წლის თავზე, დავით აღმაშენებელი უკვე ლეგენდის გმირად ქცეულა. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი წინამძღოლი კარდინალი პელაგიუსი რომის პაპს ამცნობდა „მეფე დავითის“ მიერ მთელი „სპარსეთის“ დაპყრობას და ლაშქრობას მამადადნობდა ხელახლა დაპყრობილი იერუსალიმის გამოსასხენლად.

სხვათა აზრით: „ინდოეთის მეფე დავითი“ თავისი ჯარით „ალთქმულ მინას“ უახლოვდება. ხანაც ამბობდნენ, „თათართა მეფე დავითი“ ბაღდადიდან ათი დღის სავალზე და ჯვაროსნებს დახმარებას ჰპირდებოდა. ასეთი იყო მითქმა-მოთქმა, რომელიც პალესტინაში იხადებოდა და დასავლეთ ევროპას აღწევდა.

ხვარაზმისა და ირანის დამპყრობელ მონღოლთა სათავეში ჯვაროსნებს ერთი საუკუნის წინათ განსვენებული დავით აღმაშენებელი ელანდებოდა და მისგან ელოდნენ შველას. ...თანამედროვე ინგლისელი მწერლის ევანჯონის რომანში „ხვალვე გაეშურე შინ“, რომელიც აღწერს ნორვეგიელი რაინდის ანდრეს ვარინგერის თავგადასავალს „წმიდა მინაზე“ (XII საუკუნის დამლევის), მოხსენიებულია დავით აღმაშენებელიც. და მეერ როგორ არის მოხსენიებული!

იერუსალიმში ყოფნისას ანდრესი მსტურება ჯვრის მონასტერს, სადაც ბიზანტიელი გერბი ეპატიება, მაგრამ ირაკვა, რომ იმ ბინადგობას სხვა მოდგმისაა, რომელიც ზოგი იბარებდა მისთვის და ზოგიც გიორგიაზებს ეძახის.

სორბიკელი რაინდი აღნიშნავს: „მათ უპირატესო ქლივარი ცინესიამაზიანი კრავსისი მთიანეთში სარკინოთა და ჩრდილოეთის წარმართობაზე თაშის დასაცავად. შემდგომ წლებში უფრო მართი შვიტყვე ვათუბი, მაგრამ მათინ მსოფლიოს, რომ ესაა გულადი ხალხი, მისსა ძრისტიანული სამყარო, ერთ მფხვინარ დავს, უპატივსა და განცოტას.“

ანდრესის სიტყვით, ჯვრის მონასტრის ქართველი წინამძღვარი მხედარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხუცესს. მან უცხოელ მოყვასს უამბო საქმენი განსვენებული ქართველთა მეფის დავით ბაგრატიონისა, რომელიც დაახასიათა როგორც „გულმონყალე რაინდი, სათნო ქრისტიანი და, რაც მთავარია, ძლევაბოსილი მონარქი“.

ქართველი წინამძღვარი ნორვეგიელ რაინდს აუწყებს, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოსთვის გააკეთა ის, რაც ესპანეთის მეფე-მთავრებს ვერ მოუხერხებიათ, სახელდობრ, თავისი სამშობლოდან განდევნა ურჯულნი, მერე კი მთელი კავკასიის ქრისტიანები დამოუკიდებელ და ძლიერ სახელმწიფოდ გააერთიანა.

აღსანიშნავია, რომ იერუსალიმში ჯვაროსანთა თითქმის ასწლიანი ბატონობის ფაქტს (XII საუკუნის დამლევაზე) პალესტინის ქართული მოხსენებები, ერთი ევროპული წყაროს გამოთქმით, აწყვეტენ: „მეფე დავითის ხელახლა დაპყრობილი იერუსალიმის გამოსასხენლად...“

სანთა თითქმის ასწლიანი ბატონობის ფაქტს (XII საუკუნის დამლევაზე) პალესტინის ქართული მოხსენებები, ერთი ევროპული წყაროს გამოთქმით, აწყვეტენ: „მეფე დავითის ხელახლა დაპყრობილი იერუსალიმის გამოსასხენლად...“

აზლი სიტყვით, რომ ჯვაროსანთა გასაჭირი სირია-პალესტინაში ქრონიკულ ხასიათს იღებდა. ბედმა თითქოსდა სამარადისოდ შეაქცია ზურგი ქრისტეს მხედრებს. იერუსალიმის სამეფო თვით იერუსალიმის გარშემო იყო დარჩენილი და ზღვის სანაპიროს სანაპიროს და ჯვაროსანთა ციხე-ქალაქებს გარდუვალისაღწევი ემუქრებოდა.

რომის პაპი დაუზარებლად განაგრძობდა ქადაგებას და მოწოდებას, მაგრამ ვითარება დასავლეთ ევროპაში ხელსაყრელი არ იყო ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. ინგლისის და საფრანგეთი ერთმანეთს ედავებოდნენ მინებს, გერმანიაში ბრძოლა იყო გაჩაღებული სამეფო ტახტის დასაჭერად.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, „ალთქმული მინადან“ საფრანგეთს ჩააღწია ფრანგი რაინდის დე ზუას ეპისტოლემ, სადაც მოთხრობილი იყო საოცარი და ფრიად სანუგეშო ამბავი: გეორგიანებად წოდებულმა ქრისტიანებმა მამამადანთა სამასი ციხესიმაგრე და

ლეთის ქრისტიანთა მწყემსს თავისი განზრახვა ხლათზე ლაშქრობისა.

ეპისტოლეში ფაქტები თავის თხზულებაში „იერუსალიმის ისტორია“, ასე ახასიათებდა ქართველებს: „მათ ეწოდებათ გეორგიანები, რადგან საგანგებო პატივსა და თავიანთს სცემენ წმ. გიორგის, ვისაც თავის მფარველად და მედროშედ თვლიან ურჯულოებთან ომში“.

1219 წელს, როდესაც ჯვაროსნებმა აიღეს ნავსადგური დამიეტა („გასაღები ეგვიპტისა“), ევროპული წყაროს ცნობით, იქ ლაშქრობის ელჩები ჩასულან.

ვენეციელი ისტორიკოსის მარინო სანუტოს სიტყვით, ქართველები ალაფროვანა დამიეტას აღებამ და მათ გააძევეს, გარკვეული წვლილი შეეტანათ მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში, სახელდობრ – აეღოთ ქალაქი დამასკო.

დამასკოს გამგებელი, უმცროსი ძმა ეგვიპტის სულთან ალ-ქამილსა, რთული არჩევანის წინაშე დადგებოდა: ან დამასკოს დასაცავად უნდა გაბრუნებულიყო ანდა ჯვაროსნებთან ბრძოლა გაეგრძელებინა და, ამგვარად, დამასკო გაეცინა.

გაგრძელებული მითქმა-მოთქმის კვალობაზე, დამასკოს ვინღა ჩიოდა!



ლაშა-გიორგი

ელოდნან უპელს საქართველოდან...



ჯვაროსნები საქართველოში

ცხრა დიდი ქალაქი აიღეს და მათი ურიცხვი მხედრობა იერუსალიმსავე მოემართება. ისიც იყო აღნიშნული, რომ მათი მეფე, თექვსმეტი წლისა, აღექანდრე მკედონელის ბადალი ძალითა და სიკეთით, თავისი დედის – „დედოფლის უძლიერესის თამარის“ ანდრესის აღსრულებას აპირებს და მისი ნებთა უფლის საფლავთან უნდა მიასვენოს.

ფრანგი რაინდის დაუთარღებელ ეპისტოლემში, ალბათ, იგულისხმება ქართული მხედრობის ლაშქრობა ხლათზე 1210 წელს. მართალია, ხლათის გარემოცვა გამარჯვებით არ დასრულებულა, მაგრამ არც მარცხი ეთქმოდა.

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი დასახელებულ ომს მოიხსენიებს იმ ღირს შესანიშნავ მოვლენებთან ერთად, XIII საუკუნის პირველ წლებში რომ მომხდარა და მამამადანთა ცნობიერებაში დამკვიდრებულია.

ჯვაროსნები დიდ იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ ქართველები („მებრძოლი ქრისტიანი ხალხი“ – ერთი ევროპული წყაროს გამოთქმით) დახმარებას გაუწევდნენ მათ სარკინოზე მეტი სიტყვით ჩრდილოეთ მესოპოტამიაში.

სორელი მოკავშირის გამოჩენით აღძრული ალტაცება ბედებს მომხილავს ოცნებას, რომ საქართველოს ურიცხვი მხედრობა იერუსალიმსა და ირანის მამამადანთა ხელთაგან.

ვატიკანის არქივებში დაცულია რომის პაპის ეპისტოლე, დათარიღებული 1211 წლის 7 ივნისით: „საქართველოს ბრწყინვალე მეფეს – მოწოდება წმიდა მინის დასაცავად“.

რომის პაპი საქართველოს მეფეს უწოდებს ურჯულოთა წინააღმდეგ გალაშქრებას. ეტყობა, ლაშა-გიორგიმ 1210 წელსვე აცნობა დასავლეთის

მონღოლთა დროინდელი სპარსელი ისტორიკოსის ჯუჯენის თხზულებას შემოუნახავს ფანტასტიკური ცნობა, თითქოსდა ქართველები აპირებდნენ ბაღდადის აღებას, რათა კათალიკოსი დაესვათ ხალიფას ტახტზე, მეჩეთები გადაეკეთებინათ ეკლესიებად და „ისლამის ჭკმშიარტივა“ შეეცვალებათ ქრისტიანობის სიძრუით“.

ორმოცი ათასი ქართველი მხედარი იარაღისა და საომრად გამზადებული იყო. ლაშა-გიორგის წინამძღოლობით უნდა დაძრულიყვნენ დამასკოსაკენ.

მაგრამ საუცხოოდ ლაშქრობეული და გულდასმით დაგეგმილი ლაშქრობა უეცრად ჩაიფუშა, ვინაიდან მონღოლები მოადგნენ საქართველოს საზღვრებს და ლაშა-გიორგის მხედრობას საბედისწერო მარცხი აგეგეს.

მონღოლები რომ არა, მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დასასრული, ქართველების წყალობით, ალბათ, გაცილებით იღვლიანი იქნებოდა.

საქართველოს გარკვეული წვლილი ჯვაროსნულ ლაშქრობებში შეუმჩნეველი როდი დარჩენილა დასავლეთში.

თანამედროვე ფრანგი მკვლევარი რენე გრუსე თავის წიგნში „ჯვაროსნულ ლაშქრობათა ისტორია, წერს:

„მამამადანური სამყაროს გასაჭირთა ჩამოთვლისას არ უნდა დაგვიწყნდეს მოხსენიება საქართველოს ქრისტიანული სამეფოს ექსპანსიისა კავკასიის სამხრეთში. ქართველი ხელმწიფის დავით აღმაშენებლის (1089-1125) ზეობისას საქართველო შეტყევა, არასაც ერთხანს ამუხრუჭებდნენ მალიქ-შაჰი და მისი ძე მუჰამედი, სელჩუკთა დასუსტების წყალობით, ისე

გაგრძელდა და დაწყებულ იქნა განთავისუფლება სომხეთის მინა-წყლისა.

1121 წლის აგვისტოში შეჭრივებულმა სულთანმა მამამადანინ-მუჰამედმა ქართველთა წინააღმდეგ წარგზავნა თავისი უმცროსი ძმა თოღრული და ართუკიანთა ამირა ქალაქ მარდინისა – ილ-ლაზი. მაგრამ დავით აღმაშენებელმა განადგურა საქართველოში შეჭრილი ლაშქარი და მამამადანთან მერე თბილისიც დაიბრუნა. 1124 წელს ძლევაბოსილმა ქართველებმა აიღეს ანისი, ძველი დედაქალაქი სომხეთისა.

თურქ-სელჩუკთა ამ დიდმა მარცხმა ჩრდილოეთში ისევე ძალუმად შეაძრუნა მამამადანური სამყარო, როგორც ფრანკთა გამარჯვებებმა სირიაში. კავკასიიდან ბაღდადს ჩასული მამამადანინი ივერებთან ანტიქართული საღვთო ომის დაწყებას, ისევე როგორც მამამადანინი ალექსანდრე აქეზებენ ხალიფას ანტიფრანკულ საღვთო ომზე. მაგრამ ეს მოწოდებანი ამაო იყო.

XII საუკუნის დამლევის ქართველთა რევანში კვლავ თვალსაჩინოა. გიორგი III (1155-1184) წარმატებით ლაშქრობს თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ უკვე სომხეთის შუაგულში – ანისის, დვინის, ნახჭევანისა და განძის პროვინციებში.

დიდი თამარის მეფობისას (1184-1210) საქართველოს მხედრობა, გამოჩენილი სარდლების – ზაქარია და ივანე მხარგრძელთა წინამძღოლობით, ტრიუმფით უფლებდა არზრუმისა და ერზინჯანის პროვინციებს, თავისუფლებს და შემოიბრუნებს ქალაქ ყარსს, ამარცხებს აზერბაიჯანის ათაბაგს და ამ მიმართულებით განაგრძობს შეტევას თვით არდებილამდე და თავრიზის კარიბჭემდე.

ქრისტიანული ამიერკავკასიის გამოღვივებისა და ფრანკთა მიერ სირიის ოკუპაციის შედეგად თურქ-სელჩუკთა სამყარო გრძობდა, რომ ყოველი მხრიდან ემუქრებოდნენ“.

...მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობამ წარსულს სამუდამოდ ჩააბარა ის დრო, როდესაც დასავლეთი სამხედრო დახმარებას სთხოვდა ქრისტიან ქართველებს.

მომდევნო საუკუნეებში უკვე საქართველოდან ვეღვრებიან შემწეობას და შველას რომის პაპსა თუ ევროპის მეფეთაგან.

მაგრამ ამაო! საქართველოსთვის არავის სცხელიდა.

მონღოლი ქართველი მოღვაწეთა სულსკვეთებას საუცხოოდ გამოხატავს ბარძი არაგვის ერისთავის წერილი, 1690 წლის 1 იანვარს რომ გაუგზავნია რომის პაპის სახელზე. ეს ტექსტი მთავრდება შემდეგი სიტყვებით:

„ჩვენ ვართ ერნი შენი და ცხოვრნი სამწყალოდ შენისანი. დაკარგული მოგვიძიებ, მოგვიტაცენ პირისაგან მგელთასა. წუ გაგვწივად და გამოგვიხსნ“.

ამგვარი ლტოლვა დასავლეთისკენ, მიუხედავად უნაყოფობისა, არასოდეს გაქარწყლებულა და აგერ, ჩვენს დრომდე მოუღწევია. დაიხ, დღესაც გვეკვლინება ცხადსა თუ სიზმრებში, დღესაც გვატკობს ძილსა თუ ღვიძილში.

ახალი ძალითა და ურყევი რწმენით გახმინებულა. დაუზარებლად გვიხატავს ფერად-ფერად სურათებს...

მომამბობა ლაშა გიორგამდე

მეორედ - „საბურთალო“!


საბურთალოს თასის გათამაშების ფინალი მეორედ გაიმართა დედაქალაქს მიღმა, აქედან მეორედ - რიონის ნაპირებზე, სულ კი ამ პრესტიჟულ ჯილდოს 32-წლიანი ბიოგრაფია აქვს.

განვლილი სატიტულო ბრძოლების 18 მონაწილეს ასეთი მონაგარი მოუტროვდა: „დინამო“ - 15 (13), „ტორპედო“ - 9 (4), „ბათუმი“ - 5 (1), „ზესტაფონი“ - 5 (1), „ლოკო-მოტივი“ - 5 (3), „ამერი“ - 3 (2), „ჩიხურა“ - 3 (1), „გაგრა“ - 3 (2), „ცხუმი“ - 2 (0), „სამგურალი“ - 2 (0), „სიონი“ - 2 (0), „გურია“ - 1 (1), „დილა“ - 1 (1), „ვიტ ჯორჯია“ - 1 (1), „საბურთალო“ - 1 (1), „მეტალურგი“ 1 (0), „ოლიმპი“ - 1 (0), „სამტრედია“ - 1 (0), „მერანი“ - 1 (0). ფეხბურთელთა შორის ახალმა რეკორდსმენმა, 39 წლის გრიგოლ დოლიძემ მეთავედ ითამაშა გადამწყვეტ შეხვედრაში, რითაც ირაკლი ზოიძის წინა მიღწევა გააუმჯობესა - 9 ფინალი.

მწვრთნელთა შორის 4 გამარჯვებით

ჯერჯერობით საუკეთესოა დავით ყიფიანის შედეგი, ხოლო რევაზ ძოძუაშვილმა 3 წარმატება 3 კლუბს მოუტანა.

ბომბარდირთა რჩეულმა სულიკო დავითაშვილმა 3 ბურთი 3 მეტოქე გუნდის მეკარეებს გაუტანა, ერთი სეზონის რეკორდი კი 1990 წლიდან ბუბა ტყავაძეს ეკუთვნის - 18 (!) გოლი. რაც შეეხება მსაჯებს, სერგო კვარაცხელიას 6-ჯერ გამოუტყდადეს ნდობა. აღსანიშნავია, რომ გუშინ პოლონელთა ბრიგადა გაუძღვა მატჩს და ეს უცხოელთა მოწვევის მესამე შემთხვევა გახლდათ (2007 - თურქები და 2015 - გერმანელები). დაიქვინა, რომ ფინალამდე წყალტუბოს „სამგურალმა“ „მალაროელს“, „სიონს“, „გორსა“ და „შუქურას“ სძლია, „საბურთალომ“ კი „სპაერი“, „დილა“, „გარჯი“ და „ბათუმი“ დაამარცხა. იმასაც გაუწყებთ, რომ წლებადნელ „კრისტალბეთ“ ეროვნულ ლიგაში უპირატესობას თბილისელები ფლობდნენ - 2 მოგება და 2 ფრე.




ფინალი. ქუთაისი. რამაზ შენგელიას სტადიონი. „სამგურალი“ - „საბურთალო“ 0:1

გოლი. ტაბატაძე (65 წთ). ვულოცავთ აწყობილი საკლუბო სტრუქტურით გამორჩეულ უზნის გუნდსა და მის ახალგაზრდა მწვრთნელს ლევან კორძაიძეს მეორე ტრიუმფს!

რეაქცია


მარტინას დაეჯერება



მას შემდეგ, რაც წყვილთა თანრიგში დიდი სლემის ტურნირების ორგზის ჩინელმა ჩემპიონმა შუაი პენგმა ცისკვეშეთში ყოფილ ვიცე-პრემიერ ჩუან გაოლის მხრიდან სოციალურ ქსელში სექსუალური შევიწროების შესახებ განაცხადა, უკვე ორი კვირა გავიდა, მაგრამ კონტაქტზე მხოლოდ ახლა გამოვიდა და მსოფლიოს ჩოგბურთელთა ასოციაციაში გაგზავნილ წერილში თავისი სიტყვები უკან წაიღო.

ბუნებრივია, ძალადობის მსხვერპლის ასეთ ფერისცვალებას ბევრი მისი კოლეგა გამოეხმაურა, მათ შორის - არატრადიციულ ურთიერთობათა დიდოსტატი, პლანეტის ყოფილი პირველი ნომერი და დიდი სლემის ტურნირების 18-გზის (!) ჩემპიონი მარტინა ნავრატილოვა, რომელმაც თავის „ტვიტერში“ დაწერა. „შუაი პენგი არ არის თავისუფალი. ეს ჩვენთვის ცნობილია. როგორც ჩანს, ის დღეს უსაფრთხოა, მაგრამ თავისუფალი არ არის. სირცხვილია.“

რაც შეეხება მსოფლიოს ჩოგბურთელთა ასოციაციის რეაქციას, ამ ორგანიზაციამ, თუ რენგის საქმის გამოძიება გამჭვირვალედ არ წარიმართება, შესაძლოა, უარი თქვას საკუთარ ჩინურ ბიზნესებზე.





ლეგენდა

უკვე - ეკრანზე

2023 წელს, ლეგენდარული კალათბურთელის დრამატიკული ბიოგრაფიის დასრულებიდან 30 წლისთავზე, ეკრანებზე გამოვა ხორვატი რეჟისორის დანილო შერბეჯიას ფილმი სამუშაო სახელწოდებით „უმადლესი ძალი“. დრამატიკული ბიოგრაფიის ისტორია, რომელშიც შეეცდებიან გამოიკვლიონ ის პრობლემები, რომელსაც აწყდებიან დიდი სპორტსმენები.

გადაღებები გაისად დაიწყება ხორვატეთში, გერმანიასა და აშშ-ში. ეს იქნება დრამა, რომელშიც განხილული იქნება როგორც დრამატული საბრძოლო სული და გენიალურობა, ისე მისი უნიკალური პიროვნება, რომელიც გამოვლინდა ევროპისა და აშშ-ის მოედნებზე.



რჩეული ეპიკური და ამოსანები

მოჭადრაკის უმაღლესი კლასის ერთ-ერთი მაჩვენებელია, რთულ პოზიციებში მარტივი გზის მიგნება.

მიხაილ ტალი

იოსებ კრიხელი 1931-1988

თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი საჭადრაკო კომპოზიტორი. დაიბადა ქ. ცხინვალში. წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქ. გორში. იყო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. საერთაშორისო დიდოსტატმა (1984) საკავშირო ჩემპიონატებში ექვსი მედალი მოიპოვა. სახელგანთქმული ქართული ებრაელის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გამოუქვეყნებელი ნაწარმოები მისი პირადი არქივიდან სამსჯავროზე გამოიტანა და რედაქტირება გაუწია მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონმა ეტიუდების შედგენაში, დიდოსტატმა დავით გურგენიძემ.

საინტერესოა კრიხელის გვარის წარმოშობის გენეალოგია. რაჭაში, ამბროლაურის რაიონში არის ულამაზესი სოფელი კრიხი. სწორედ ამ სოფლიდან უნდა მომდინარეობდნენ კრიხელები (თ.შ.). მათი რაოდენობა საქართველოში 2018 წლის აღრიცხვით შეადგენდა 361 მის მოგვარეს, მათ შორის თბილისში - 162-ს (იხ. „გვარ-სახელები საქართველოში“, ვაჟა ნადირაშვილის რედაქციით).

ჭადრაკის ისტორია ცხადყოფს, რომ მას ყველაზე მეტად მისდევენ იმ ქვეყნებში, რომლებშიც კულტურა წამოხლად თამაშობს - ამბობდა საჭადრაკო ხელოვნების კოსი - რიხარდ რეტი.




ელგუჯა კვეციანი 1934-1995

ძარბაზის ქადრაკის ამბადარს და ცნობილი შურნალისტის თენგიზ გიორგაძის წიგნში თავმოყრილია XIX-XX საუკუნეების ყველა თაობის გამოჩენილი შემოქმედება. მათ შორისაა ელგუჯა კვეციანი (იხ. „ქართული ჭადრაკის მემკვიდრე“).


წიგნის ბარაკანი „ი. კრიხელის ზღაპრული სამყარო (1999 წ.)“



პირველად გამოქვეყნდა დ. ბურბანიძის რედაქციით



მოამზადა: თაბაზ შენგელიამ



მოამზადა: თაბაზ შენგელიამ

№ 63 1. f6c6d6 2. e1h2z3e 3. e8z3c4 4. e8z3a2 5. z8z1! +-
№ 64 1. e7 z3a6 2. e8z3e8 3. e8z3h7 4. a4! z3z8! 5. z3z8! h1z
6. z3z8! h7 7. z3z7! z3z7 z3z8
№ 20 1. z3z7 c7 z3z3 2. z3z6! z3z1 3. ...z3z6! z3z1 4. z3z6 = z3z5? z3z1
2. z3z7 z3z1 z3z5 z3z5? z3z1 4. z3z5 z3z4 5. z3z6 z3z5
6. z3z7 z3z1 7. z3z5 z3z6 8. z3z6 z3z1 z3z7

შენიშვნა: ამ პატარა ეტიუდში მრავალი საინტერესო მომენტია, რომელიც გვასწავლის ენდშპილის სწორ თამაშს და გვაზღვევს შეცდომებისგან.

სენაკელი ახალგაზრდები დიდხელს სპექტაკლებს გვიჩვენებენ!

თეატრი, ისე, როგორც ხელოვნების სხვა დარგები, მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მის ისტორიასა და კულტურასთან. თეატრი, პირველ რიგში, ხელს უწყობს ადამიანის განათლების დონის ამაღლებას, ასევე აყალიბებს გემოვნებას, ცნობიერებას, ადამიანს თვალსაზრისით უფართოებს როგორც პოლიტიკური, ისე სულიერი თვალსაზრისით და რაც მთავარია, ხშირ შემთხვევაში უზრუნველყოფს ადამიანის როგორც, პიროვნების ჩამოყალიბებას. თეატრის წარმატებას თუ წარუმატებლობას, მისი ამა თუ იმ ფორმის, ტენდენციის, იდეის განვითარებას, თანამედროვეობასთან კავშირს განაპირობებს. ხშირად გაიგონებთ მოსაზრებას, რომ თანამედროვე ქართულმა თეატრმა მყარებული დაკარგა, რომ ქართველი საზოგადოება თეატრის მიმართ გულგრილადაა განწყობილი და სპექტაკლებზე მყარებულია სიმცირობის შინაარსები.




რომ ნაყოფიერად მუშაობს, ისიც მონიშნავს, რომ 2017 წელს თბილისში ჩატარებულ საქართველოს ახალგაზრდულ ფესტივალზე „ფიროსმანმა“ წარადგინა პიესა „ჯვარცმულები“ და გრან პრი დაიმსახურა. 2018 წელს თურქეთში მოწყობილ სტუდენტთა და ახალგაზრდულ ფესტივალზე, სადაც 14 თეატრი მონაწილეობდა „ფიროსმანმა“ წარადგინა ჯ. მონიავას „ჯვარცმული ბედნიერება“ და კვლავ გრან პრი მოიპოვა. ქობულეთში მოწყობილ „თეთრი თოლიას“ კონკურსზე დაიკავა პირველი ადგილი. ხოლო ფესტივალ „ოქროსი ქი“-ზე ისევ გრან პრი დაიმსახურა.

წარმატებები გახლავთ ნაყოფიერი, დაუღალავი და ნიჭიერი ახალგაზრდების მიერ დახარჯული ენერჯისა და თეატრისადმი სიყვარულის შედეგია. როცა ვუყურებ თვალანთებულ, როლში ოსტატურად შესულ ახალგაზრდა მსახიობებს, უნებლიეთ გინდება თითოეული მოქმედების შემდგომ დაუსრულებელი ოვაციით დააჯილდოო – ნიკოლოზ კაჭარავა, თამარ გვარჯალაძე, რევაზ ბეჟაშვილი, დაიზ გუნია, ლიზი ჭითავა და სხვები.

თეატრი წარმოდგენებით ანებივრებს სენაკელ მყურებელს. პანდემიის სრული დაცვით ნოემბერში ნაჩვენები იქნა ორი სპექტაკლი: „ჯაყოს ხიზნები“ და მონო-სპექტაკლი „არ დაიდარდო, დედაო“. წარმატებებს ვუსურვებ თეატრის ახალგაზრდულ კოლექტივს.

ბურის ღაფთაიანი, სენაკის საპატიო მოქალაქე, აკ. წერეთლისა და ალ. ყაზბეგის პრემიების ლაურეატი

სენაკის მუხარამ ჯაფარიძე, რომელიც გაფრინდა ნორვეგიაში, სიმატლი იცოდა



სუბტილური მსოფლიო ჩემპიონმა, მოჭადრაკე ნონა გაფრინდაში ელმა Netflix-ს უჩივლა სერიალ The Queen's Gambit-ში ნათქვამი ტექსტის გამო, რომ მას არასდროს უთამაშია კაცი მოჭადრაკის წინააღმდეგ.

სარჩელის განხილვა ლოს-ანჯელესის სასამართლოში შედგა. დაიკითხა სერიალის

სცენარის ავტორი ფრენკ სკოტი. გაფრინდაშილის ადვოკატის თქმით სკოტმა აღიარა, რომ მოჭადრაკის შესახებ სიმართლე იცოდა.

„სკოტი იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ იცოდა სიმართლე ნონა გაფრინდაშილის კარიერული მიღწევების შესახებ, რაც ადასტურებს ნეიტრალიტის

მიერ მცდარი ფაქტების მიზანმიმართულად გავრცელებას. ამ დაკითხვამ უკვე შექმნა ცხადი სურათი. Netflix-მა სკოტის ჩვენება საქმეს თავის სასარგებლოდ დაურთო. ახლა, როცა წარვადგინებ ჩვენი პოზიცია, სკოტის ჩვენებას ვიყენებთ საჩვენოდ“, – ამბობს ადვოკატი მაია მნარი-აშვილი.

სტრიმინგის სერვისმა სასამართლოში სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ იშუამდგომლა.

ნონა გაფრინდაშილის ინტერესებს იურიდიული კომპანია BLB იცავს. ისინი სარჩელში წერენ, რომ კომენტატორის ნათქვამი ტყუილია და სექსისტური.

„ბრალდება, რომ გაფრინდაშილის არასდროს უთამაშია კაცი მოჭადრაკის წინააღმდეგ არის ცხადი ტყუილი, უკიდურესად სექსისტური და დამამცირებელი.“

1968 წლისთვის, ანუ მაშინ, როდესაც ეპიზოდში მოქმედებდა, მას სულ მცირე 59 კაცი მოჭადრაკის წინააღმდეგ შეჰონდა თამაში ჩატარებული, მათ შორის თულს მცირე ათი დიოტრისტი იყო“, – წერია სარჩელში.

სანთელი

თენგიზ ქავთარაძე, მიხეილ სალამაძე, თემურ მურდულაია სამდიმარს უცხადებენ დათო ზეიკიდეს ძმის, შესანიშნავი პიროვნების

გივი ალაქსანდრას ძე ზეიკიძის

გარდაცვალების გამო.

უპრეკიპისთის ტექნიკის უპიკის სელისანვლოგი იქნება

ბარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი ამერიკული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებელი საერთაშორისო კომპანიის – John Deere წარმომადგენლებს შეხვდა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრას კომპანიის John Deere აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის რეგიონის ახალი ხელმძღვანელი ალექსეი კუზნეცოვი და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი ილია თამარაშვილი ესწრებოდნენ.

მინისტრის პირველმა მოადგილემ კომპანიის წარმომადგენლებს სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის დეტალები გააცნო. აღნიშნული პროგრამა ფერმერებს ტექნიკის შესასყიდად საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას აძლევს. გიორგი ხანიშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ მიესალმება ერთ-ერთი საუკეთესო ხარისხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებელი ამერიკული ბრენდის „John Deere“ საქართველოში შემოსვლას.



„ვეფიცობ, კომპანია „John Deere“ მცირე და საშუალო ფერმერებს საჭირო ტექნიკასთან წვდომის მეტ შესაძლებლობას მისცემს და დიდი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ხარისხიან დამუშავებას შეუწყობს ხელს“, – განაცხადა გიორგი ხანიშვილმა. მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვეს.

ექსპორტირებული ღვინის რეკორდული რაოდენობა

მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოდან ექსპორტირებულია 96,150,066 ბოთლი ღვინო, რაც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში ისტორიულად მაღალი მაჩვენებელია. ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14%-ით არის გაზრდილი.

ექსპორტირებული ღვინით მიღებული შემოსავალი 222 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე 4%-ით მეტია. ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე ექსპორტის ზრდის დინამიკა შენარჩუნებულია:

პოლონეთი, ჩინეთი, აშშ, გერმანია, ლატვია, ლიეტუვა, იაპონია და დიდი ბრიტანეთი. ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: კანადა, შვედეთი, ჩეხეთი, საფრანგეთი, ისრაელი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, მონღოლეთი, ბელარუსი და ა.შ.

საქართველოდან სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 421-მა კომპანიამ განახორციელა. ღვინოსთან ერთად ექსპორტირებულია 760,3 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 42% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 1,9 მლნ აშშ დოლარს აღწევს. ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 356,3 მლნ აშშ დოლარი შემოსავალი, რაც 12%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

გეპქემა მიწისქვეშა გაზსაცავი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის განმარტებით, მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის პირველი ფაზა მომდევნო წელს არის დაგეგმილი. დავით თვალაბეიშვილის განცხადებით, მოლაპარაკებები დონორ ორგანიზაციებთან აქტიურად გრძელდება.

„წინა წლებში ის თანხები, რომელიც გამოყოფილი იყო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისთვის, პანდემიის გამო სხვა მიმართულებით მიიმართა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პროექტი გაჩერდა და არ განხორციელდება. ორი მიმართულებით ვაპირებთ მუშაობის გაგრძელებას და უკვე ვმუშაობთ. ერთი არის ის, რომ რაც გასაკეთებელია პირველი ფაზის ანუ მშენებლობის კუთხით ეს პროცესი დაიძვრება „გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის“ (KfW)-ს ჩართულობით. ასევე ვაპირებთ მოლაპარაკებას სხვა კერძო ჯგუფებთანაც, რათა მოხდეს მთავრობასთან ერთად ამ პროექტის დაფინანსება. გაისადგემა შიდა, რომ დავიწყებთ პირველ ფაზას“, – განაცხადა დავით თვალაბეიშვილმა.



ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიში: №GE19TB76015360-2010009. (შპს „ახალი საუქუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ი. ქორდანიას და ა. ხომასურიძის რეკონსტრუქციის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე – თევდორე მღვდლის, 13 ა. VIII სართული. ტელ. 224 00 99; 224 00 98.

მალი გაიხსნება ქორბიულის და ინ ვიტრო განყოფილებაში. გისურვებთ ჯანმრთელობას!

სამი სპანური კოშკი მწყობრშია

საპარტნიორო კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით მესტიის მუნიციპალიტეტის უშგულის თემში ყველაზე რთულ მდგომარეობაში მყოფი რატიანების, ჭელიძეებისა და ღვარტიანიების სამი კოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა, ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

მიმდინარე წლის ივლისში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თეაწულუკიანის სვანეთში გამართული სამუშაო ვიზიტისას, სავალალო მდგომარეობაში მყოფი სამი სვანური კოშკის გადაუდებელი რეაბილიტაცია დაიგეგმა. სამუშაო ვიზიტისას მინისტრი ადგილზე გაეცნო იუნესკოს ნუსხაში შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არსებულ მდგომარეობასა და აღნიშნულის შესახებ ადგილობრივი მაცხოვრებლების პოზიციაც მოისმინა.

მინისტრი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ უშგულის თემში შექმნილი პრობლემების აღმოსაფხვრელად სამინისტრო ზამთრის დადგომამდე ქმედით ნაბიჯებს გადადგამდა. უშგულის თემში არსებული სამი სვანური კოშკი მასშტაბური სარეაბილიტაციო პროცესის პირველი ეტაპისთვის



განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობის გამო შეირჩა, რადგან დაზიანებული სახურავისა და რთული კლიმატური პირობების გამო, მომავალ ზამთარს მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდებოდა. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში სრულად შეიცვალა კოშკების გადახურვა, რაც გულისხმობს ძველი ხის კოჭების ახლით ჩანაცვლებას, იზოლაციის მოწყობას, არსებული ფიქლის ქვის გადამუშავებას და სახურავის მოწყობას.

ინფორმაცია სარეაბილიტაციო სამუშაოს შესახებ: ზაქრო რატიანის შეწყვილებული (ტყუპი) კოშკი (სვანურად მურყვამი)

უშგულის თემის ჭიბიანის უბანში დგას და უნდა ეკუთვნოდეს განვითარებული შუა საუკუნეების ბოლო პერიოდსა და გვიან შუა საუკუნეებს. ის კომპლექსის შემადგენელი ნაწილია (მასზე მიდგმულია მარუბი). ეს არის ხუთსართულიანი ორი ერთმანეთზე მიდგმული კოშკი, რომელიც თავის დროზე აღდგენის შედეგად გაუერთიანებია და შედეგად ბოლო ორი სართული ერთიან სივრცეს ქმნის.

ბესო ჭელიძის კოშკი (სვანურად მურყვამი) დგას უშგულის თემის უბან ჩვიბიანში, თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით და ერთადერთი შემორჩენილი კოშკია ამ უბანში. ის კომპლექსის შემადგენელი ნაწილია (მასზე მიდგმულია მარუბი). კოშკი ხუთსართულიანია, რომელშიც ასასვლელი ამჟამად საცხოვრებელი სახლიდანაა. სართულშორისი გადახურვა ქვიტვირისაა. ქონგური გადახურულია ფიქლით.

ვიტალი/ვარდენ ღვარტიანის კოშკი (სოფ. მურყმელი) დგას უშგულის თემის უბან მურყმელში და განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. წარმოადგენს კომპლექსის შემადგენელ ნაწილს (მასზე მიშენებულია მარუბი). კოშკი ექვსსართულიანია. სართულშორისი გადახურვა ხის კოჭოვანია. პარაპეტი დახურულია ფიქლის ქვით. სამინისტროს გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფები, რომლებიც სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებდნენ, სრულად დაკომპლექტებული იყო ადგილობრივი მოსახლეობით.

ოთხ თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელებს ირჩივენ

ოთხ თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევად კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადა. ამის შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეაწულუკიანმა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

კერძოდ, კონკურსი გამოცხადდა გიორგი მიქელაძის სახელობის თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის, ალექსანდრე წუნუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის, აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის დრამატული თეატრისა და ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევად. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში 29 თეატრი მოქმედებს. მათგან 21 თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს 2022 წლის პირველ იანვარს გასდის უფლებამოსილების ოთხწლიანი ვადა. გამოცხადდა კონკურსი ოთხ პოზიციაზე, სამ პოზიციაზე დაინიშნენ სამხატვრო ხელმძღვანელები, ხოლო დანარჩენ 14 თეატრში კონკურსები ეტაპობრივად გამოცხადდება.



რეზო გაბრიადის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა რეჟისორი და მსახიობი ლევან გაბრიადი, ჩრდილოეთის პროფესიული სახელმწიფო თეატრ „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელად – რეჟისორი, მსახიობი და დრამატურგი გელა კანდელაკი, ხოლო შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად – რობერტ სტურუა. სამივე მათგანი ამავე თეატრების მოქმედი სამხატვრო ხელმძღვანელია და ამ პოზიციაზე ყოფნის ვადა 2021 წლის 31 დეკემბერს ეწურებოდა.

XVI საერთაშორისო სააღდგომო ფესტივალი



მე-16 საერთაშორისო სააღდგომო ფესტივალი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გალა-კონცერტი გამართა, რომელშიც ცნობილი საოპერო მომღერლები იანო ალიბეგაშვილი, იტალიელი ტენორი ვალტერ ფრაკარო და ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი მონაწილეობდნენ.

თანადგომის, ერთგულეებისა და დინტერესებისთვის საქართველოს პირველი არხის გენერალურ დირექტორს, თინათინ ბერძენიშვილს მე-16 „საერთაშორისო სააღდგომო ფესტივალის“ მაღლობის სიგელი გადაეცა.



ბოლნისის მუზეუმი ავროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა

საპარტნიორო ეროვნული მუზეუმის ბოლნისის ახალი მუზეუმი ევროპის მუზეუმების ფორუმის მიერ „ევროპის წლის მუზეუმი – 2022“ კონკურსის ფინალურ ნომინანტად დასახელდა.

ეროვნული მუზეუმის ცნობით, ევროპის წლის მუზეუმის ჯილდო (EMYA) დაფუძნდა 1977 წელს ევროპის საბჭოს ეგიდით და მიზნად ისახავს მოწინავე გამოცდილების აღიარებას ევროპის მუზეუმების მასშტაბით. ჯილდო ხელს უწყობს ინოვაციურ პროცესს სამუზეუმო სამყაროში, რომელიც ჯერ კიდევ ტრადიციული ხედვით მოქმედებს და კოლექციებზე უფრო ახდენს ფოკუსირებას, ვიდრე მათ გამოყენებაზე საზოგადოების მოთხოვნების საპასუხოდ. ჯილდო გადაეცემა მუზეუმს, რომელიც წარმატებულია აუდიტორიის მოზიდვისა და ვიზიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხებში თავისი უნიკალური ატმოსფეროთი, ინტერპრეტაციითა და წარდგინებებით, განათლებითა და სოციალური პასუხისმგებლობისადმი შემოქმედებითი მიდგომით.

ევროპის საბჭოს მუზეუმის პრიზი წარმოადგენს უნიკალურ ჯილდოს და მიზნად ისახავს თვალსაჩინოდ წარმოაჩინოს ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმიანობა, როგორც ფაქტორი, რომელიც აერთიანებს ევროპის საბჭოს 47 წევრ ქვეყანას. ამ მნიშვნელოვან ნომინაციაზე საქართველოც ეროვნული მუზეუმის სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი – 2016 წელს პირველად წარადგინეს, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის აღიარებისა და პოპულარიზაციის გზაზე. 2016 წელს სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი ფორუმის მიერ დასახელებული იყო ნომინაციაში: „სამუზეუმო სფეროში საზოგადოების ჩართულობის ხარისხის ამაღლებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის“. 2022 წლის საუკეთესო მუზეუმები EMYA-ს მიერ გამოვლინდება და დაჯილდოების ცერემონია გაიმართება ტარტუსში, ესტონეთი 2022 წლის 4-დან 7 მაისს.

ბოლნისის მუზეუმი წარმოადგენს XXI საუკუნის რეგიონული მუზეუმის და ზოგადად ახალი ეკოსისტემის მოდელს – აქ არის მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ტურიზმის სხვადასხვა სეგმენტის თანაარსებობა ერთ სივრცეში. პანდემიის მიუხედავად, ევროპაში, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც 2021 წელს ორი ახალი მუზეუმი წარუდგინა დამთავალიერებელს – აშენდა ახალი მუზეუმი ბოლნისში და სრულად განაახლდა არქეოლოგიური მუზეუმი ვანში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA

მთავარი რედაქტორი
საბარტაძე მოწულა
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
 599 53-76-16;
ალექო
ასლანიშვილი
 599 56-81-86;
 პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 53-76-16; 599 36-00-35
 შპს „თანადგომა“-გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 იბეჭდება სტამბა „კოლორი“
 ე. ბალდავასის №3

კოდონ ჰაუზი
 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

2 009882 616932

ავტორთა საჩუქრადღებოდ!
 რედაქციის მიერ შუამავითავე გასალაპის დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შინაგონობა, მუდამ არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას. ფაქტობრივ სიუხვობაზე პასუხს აგვავს ავტორები.

გაზეთის მომწოდებელი
ნომერი
გამოვა
ორშაბათს, 13 დეკემბერს

სა	უსტორიული ვაჭრობის კარხი: აუუ ფონი - 3.0909; პარკ - 3.4813; ბრითანული პირაპირა სტატიონი - 4.0948; 100 რუბლი - 4.1561; თურქული ლირა - 0.2252; აზერბაიჯანული მანათი - 1.8190; 1000 სომხური დრამი - 6.2656.	აინილი 9 დეკემბრისთვის ავტოსავალი საქართველო: ბარა - ლაშქ +2, ლაშქ +15 მიიანი რეგიონი - ლაშქ -2, ლაშქ +11 დასავალი საქართველო: ბარა - ლაშქ +8, ლაშქ +16 მიიანი რეგიონი - ლაშქ +3, ლაშქ +11 თბილისი: ლაშქ +5, ლაშქ +13	დაბირვაკით, მოგვარვაკით: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge
----	--	---	--